საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კახიანი ეკატერინე (ეკა) იმედას ასული

კახიანი ეკატერინე (ეკა) იმედას ასული (დ. 16. I. 1964, თბილისი), თეატრისა და კინოს მსახიობი, მომღერალი. 1971–80 იყო გოგონათა ანსამბლ „მზიურის" წევრი. 1988 დაამთავრა თბილ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი (მ. თუმანიშვილის სახელოსნო). 1988–2004 იყო მ. თუმანიშვილის სახ. კინომსახიობთა თეატრის მსახიობი. 2006-იდან არის თბილ. ვ. აბაშიძის სახ. მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობი. კინომსახიობთა თეატრში განახორციელა როლები: ტასო (გ. ერისთავის „ჭკუისა მჭირს", 1989); ტიტანია (უ. შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარი", 1992); ჯადოქარი ოსიმა (რ. აკუტაგავას „ცხოვრება იდიოტისა", 1993); ლედა (ჟ. ჟიროდუს „ამფიტრიონი 38", 1994); ნათია (ლ. თაბუკაშვილის „ნატაძრალზე", 1991); მუსიკისა და დრამის თეატრში: მარლენ დიტრიხი (დ. დოიაშვილის ინსცენირება „მარლენ დიტრიხი", 2006), ბარონესა შრედერი (ცნობილი მიუზიკლის „მუსიკის ჰანგების" ამავე სახელწოდების ქართ. ვერსია, 2010); ბათუმის მუსიკალურ ცენტრში: ქაბატო (ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე", 2011). შესრულებული აქვს როლები ფილმებსა და ტელესერიალებში: „ავტოპორტრეტი" (1987), „მარტივი პასეანსი" (1990), „ოცნების ქალაქი"(2010); „დიდების ზღაპარი"(2000), „ძილის წინ"(2000–03), „ჩემი ცოლის დაქალები"და სხვ. კ. არის პოპულარული სიმღერების ავტორი: „ზაფხულის საღამო"(1996; მუსიკალური პრემია „მეგას"ნომინაციაში – საუკეთესო სიმღერა), „მე ვიმღერებ"(2003, დაჯილდოვდა რადიო „ფორტუნას"მუსიკალურ კონკურსში) და სხვ. 2010 გამართა საავტორო კონცერტი – „ზაფხულის საღამო".

მონაწილეობს კონცერტებსა და მუსიკალურ პროგრამებში.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2003).